

**საგანმანათლებლო პროგრამების  
აკრედიტაციის საბჭოს  
სახელმძღვანელო**



განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

2021

# სარჩევი

<b>შესავალი</b> .....	3
ცენტრის ხედვა .....	4
ცენტრის მისია .....	4
ცენტრის ღირებულებები .....	4
ცენტრის მიზნები .....	4
წარმოების სახეები, რომელთაც აკრედიტაციის საბჭო განიხილავს.....	6
წარმოებებში ჩართული მხარეები და მათი ფუნქციები .....	6
ექსპერტების ფუნქციები.....	6
ცენტრის წარმომადგენლების ფუნქციები .....	7
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ფუნქციები.....	7
აკრედიტაციის საბჭოს წევრების ფუნქციები.....	8
საბჭოს საქმიანობის პრინციპები .....	8
ინტერესთა კონფლიქტი .....	9
საბჭოს დამოუკიდებლობა ESG-2015-ის მოთხოვნები .....	9
ზეპირი მოსმენის ფორმატი.....	9
საბჭოს თავმჯდომარის ფუნქციები .....	10
აკრედიტაციის სტანდარტები .....	11
პროგრამის სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის შეფასება.....	12
სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის შეფასება.....	12
გადაწყვეტილებების მიღება .....	14
გადაწყვეტილების სახეები .....	15
სასარგებლო ბმულები. ....	17
პრაქტიკული ინფორმაცია .....	17
თანხმობა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრთა მიერ საბჭოს საქმიანობის წესის, პრინციპებისა და ეთიკის ნორმების დაცვის თაობაზე .....	18

## შესავალი

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირია, რომელიც ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, ახორციელებს საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციას და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციას, ასევე მონიტორინგს უწევს ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტების შესრულებას.

საქართველოს უმაღლესი განათლების სფეროს ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან დაახლოების და შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, ცენტრი ასევე მუშაობს განათლების ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმების განვითარებაზე, დანერგვასა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებაზე, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში განათლების ხარისხის განვითარების მიზნით. ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან დაახლოების მიზნით ცენტრი ასევე მუშაობს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დახვეწაზე. ამ მიზნით ცენტრი ჩართულია საჯარო სამსახურების დამმობილების ევროპულ პროექტში (EU-Twinning), რომლის ამოცანაა ცენტრის მხარდაჭერა განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარება, ხარისხის უზრუნველყოფის რეფორმისა და ეროვნული კვალიფიკაციების ახალი ჩარჩოს დანერგვისა და მონიტორინგის საკითხებში.

ცენტრის საქმიანობაში დიდი ადგილი უჭირავს ინტერნაციონალიზაციას. ამ მიზნით ცენტრი თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ჩართულია საერთაშორისო პროექტებში.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს მოპოვებული აქვს შემდეგი საერთაშორისო ორგანიზაციების აღიარება და ჩართულია შემდეგ საერთაშორისო პროექტებში:



უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაცია



უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული სააგენტოების რეესტრი



სამედიცინო განათლების მსოფლიო ასოციაცია



EU-Twinning-ის პროექტი;

## ცენტრის ხედვა

ცენტრი წარმოადგენს ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე მაღალი ნდობისა და აღიარების მქონე რეგიონულ ჰაბს, რომელიც საზოგადოებას სთავაზობს განათლების ხარისხის განვითარებასთან დაკავშირებული სერვისების ფართო სპექტრს.

## ცენტრის მისია

ცენტრის მისიაა განათლების ხარისხის განვითარების მხარდაჭერა, მომხმარებლის საჭიროებებზე მორგებული, საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებსა და საუკეთესო ადგილობრივ გამოცდილებაზე დაფუძნებული სერვისების გაწევისა და ხარისხზე ორიენტირებული მმართველობის გაძლიერების ხელშეწყობის გზით.

## ცენტრის ღირებულებები

ცენტრი, უპირველეს ყოვლისა, ხელმძღვანელობს სწავლის პროცესში ჩართული პირების საუკეთესო ინტერესებით და საქმიანობას წარმართავს შემდეგ ღირებულებებზე დაყრდნობით:

**ობიექტურობა:** ჩვენ მიერ განხორციელებული შეფასებები, ასევე თვითშეფასება ეფუძნება კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტებს და ფაქტობრივ გარემოებებს. დადგენილი პროცედურები მაქსიმალურად გამორიცხავს შეფასებაში მონაწილე პირების სუბიექტივიზმს.

**გამჭირვალეობა:** ჩვენს საქმიანობაში მოქმედი სტანდარტები და პროცედურები, ჩვენი ხედვები და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი და წინასწარ ცნობილია ყველა მხარისათვის. უზრუნველყოფილია ცენტრის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის საჯაროობა.

**მიუკერძოებლობა:** ჩვენ უზრუნველყოფთ, რომ ცენტრის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და ითვალისწინებს დაინტერესებულ მხარეთა საუკეთესო ინტერესებს.

**თანამშრომლობა:** ჩვენ ღია ვართ დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობისათვის. კონსტრუქციულად განვიხილავთ სიახლეებს, წინადადებებს, განსხვავებულ პოზიციებსა და ორიენტირებულნი ვართ პრობლემების გადაჭრაზე.

**განვითარება და ინოვაციურობა:** სისტემატურად ვაფასებთ ჩვენს საქმიანობას და შეფასების შედეგებზე დაყრდნობით, ვგეგმავთ განვითარების ინოვაციურ გზებს. იმავეს ვთავაზობთ განათლების პროვაიდერებს და იმავეს ველოდებით ჩვენი პარტნიორებისაგან.

## ცენტრის მიზნები

ცენტრის მიზნებია:

- ცენტრის ორგანიზაციული მოწყობით, რესურსებითა და მიმდინარე პროცესებით უზრუნველყოფილია მისი ინსტიტუციური მდგრადობა და მუშაობის ეფექტურობა;
- საქართველოს განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ევროპულ და საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოების მიზნით, ცენტრი აქტიურად იყენებს საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილებას;
- ცენტრის მიერ გაწეული სერვისები განვითარებული, მოქნილი, ადვილად ხელმისაწვდომი და მომხმარებელზე ორიენტირებულია;
- დანერგილია ზოგადი განათლების სპეციფიკაზე მორგებული ხარისხის უზრუნველყოფის ეფექტური მექანიზმები, რომლებიც ითვალისწინებს ეროვნულ თავისებურებებს,

საუკეთესო უცხოურ პრაქტიკას და საგანმანათლებლო სერვისების ხელმისაწვდომობის თანამედროვე გამოწვევებს;

- მოქმედებს პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის საუკეთესო, ევროპულ გამოცდილებაზე დაფუძნებული, სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს/ხელს უწყობს პროფესიული განათლების სფეროში საქართველოში გაცემული კვალიფიკაციებისადმი ნდობას სწავლის გაგრძელების ან/და ეროვნულ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე დასაქმების მიზნებისათვის;
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების და საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის არსებული გარე მექანიზმები ითვალისწინებს ეროვნულ თავისებურებებს და სრულად არის ჰარმონიზებული საერთაშორისო სტანდარტებთან.

## წარმოების სახეები, რომელთაც აკრედიტაციის საბჭო განიხილავს

წარმოების დასახელება	
1	აკრედიტაცია/რეაკრედიტაცია
2	უსდ-ს მიერ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პირობების შესრულების შემოწმება: გეგმიური მონიტორინგი
3	უსდ-ს მიერ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პირობების შესრულების შემოწმება: არაგეგმიური მონიტორინგი
4	უსდ-ს მიერ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პირობების შესრულების შემოწმება: საჩივრის საფუძველზე
5	ანგარიში აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში და აკრედიტაციის საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში მოცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე
6	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობის მიზნით წარმოდგენილი ანგარიშები

## წარმოებებში ჩართული მხარეები და მათი ფუნქციები

### ექსპერტების ფუნქციები

ექსპერტთა ფუნქციებია:

ა) საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პირველ ეტაპზე, შეისწავლოს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია; აგრეთვე, მონიტორინგის ფარგლებში დასადგენი საკითხების შემოწმების მიზნით, გაეცნოს შესაბამის მასალებს და დოკუმენტაციას;

ბ) დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე, თითოეულ სტანდარტთან მიმართებით, სტანდარტების რუკის ფორმატში, ჩამოაყალიბოს შენიშვნები, მოსაზრებები და კითხვები, რომელთა გარკვევაც სურს ვიზიტის ფარგლებში და შევსებული სტანდარტების რუკა შეთანხმებულ ვადებში გაუგზავნოს ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს;

გ) შესწავლილი დოკუმენტაციის განხილვის მიზნით მონაწილეობა მიიღოს ვიზიტამდე დაგეგმილ ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრაში;

დ) ვიზიტის განხორციელების შემთხვევაში მონაწილეობა მიიღოს ვიზიტის დღის წესრიგის შედგენაში;

ე) ვიზიტის განხორციელების შემთხვევაში, წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით, შეისწავლოს ყველა საკითხი დასკვნის შესადგენად, მათ შორის, ჩაატაროს დაინტერესებულ პირებთან ინტერვიუება, საჭიროების შემთხვევაში, გამოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია, მოახდინოს ვიზუალური დათვალიერება და განახორციელოს დღის წესრიგით გაუთვალისწინებელი აქტივობები; მოახდინოს თვითშეფასების ანგარიშში ასახული ინფორმაციის შესაბამისობის გადამოწმება დაწესებულებაში რეალურად არსებულ მდგომარეობასთან და აკრედიტაციის სტანდარტებთან მიმართებით;

ვ) ვიზიტის/დოკუმენტაციის შესწავლის შემდგომ მონაწილეობა მიიღოს შეფასების შედეგების განხილვასა და შეჯამებაში;

ზ) მონაწილეობა მიიღოს დასკვნის პროექტისა და საბოლოო დასკვნის მომზადებაში;

თ) მონაწილეობა მიიღოს შესაბამისი საკითხის განხილვაში აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე, მათ შორის, ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით, რაც აისახება სხდომის ოქმში. ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე მონაწილეობა ექსპერტს (გარდა საერთაშორისო ექსპერტისა) შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი აღნიშნულის შესახებ წერილობით ან ცენტრის ოფიციალური ელექტრონული ფოსტის - info@eqe.ge მეშვეობით შეატყობინებს ცენტრს შესაბამისი საბჭოს სხდომის ჩატარებამდე არანაკლებ ორი სამუშაო დღით ადრე.

## ცენტრის წარმომადგენლების ფუნქციები

ექსპერტთა ჯგუფის საქმიანობის კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების ფარგლებში ეფექტიანად წარმართვისა და შეფასების ერთიანი მიდგომის დაცვის მიზნით, ცენტრი ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტზე მიავლენს ცენტრის თანამშრომელს.

ცენტრის თანამშრომელის ფუნქციებია:

- უზრუნველყოფს ექსპერტთა ჯგუფის საქმიანობის ეფექტიანად წარმართვასა და შეფასების ერთიანი მიდგომის დაცვას ექსპერტთა ჯგუფის საქმიანობას საგანმანათლებლო დაწესებულების/პროგრამის შეფასებით ყველა ეტაპზე;
- საგანმანათლებლო დაწესებულების/პროგრამის შეფასების პროცესში პროცედურული დარღვევის შემთხვევაში აცნობებს ცენტრს; საჭიროების შემთხვევაში, ტექნიკურ დახმარებას უწევს ექსპერტთა ჯგუფს.
- აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტის ფორმალური შესაბამისობის დადგენა ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით დადგენილ მოთხოვნებთან, რაც გულისხმობს იმას, რომ საბოლოო დასკვნა უნდა იყოს:
  - მკაფიო და ნათელი
  - ენობრივად გამართული;
  - არგუმენტირებული და მტკიცებულებებით გამყარებული;
- ცენტრის თანამშრომელი არ მონაწილეობს შეფასების და დასკვნის შედგენის პროცესში.
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოების ორგანიზება და მათი მუშაობის მხარდაჭერა მეთოდოლოგიური და ტექნიკური თვალსაზრისით;
- მუშაობა პროცესების მუდმივ გაუმჯობესებაზე.

## უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ფუნქციები

პროცესში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ფუნქციაა:

- საკუთარი საქმიანობის თვითშეფასება დაინტერესებული მხარეების მაქსიმალური ჩართულობით;
- თვითშეფასების ანგარიშისა და დოკუმენტაციის ცენტრისთვის მიწოდება
- შესაბამისი პირობების შექმნა შეფასების განხორციელების მიზნით
- შეფასების პროცესში თანამშრომლობა და საჭირო დეტალების დაზუსტება



## აკრედიტაციის საბჭოს წევრების ფუნქციები

აკრედიტაციის საბჭოს წევრების ფუნქციებია:

- საბჭოს წევრებს ზეპირი მოსმენის გამართვამდე, განსახილველ საკითხზე არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების სრულყოფილად შესწავლისა და შეფასების მიზნით, დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შესწავლა. ეს დოკუმენტაცია მოიცავს: საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასებას და მასზე თანდართულ დოკუმენტაციას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას;
- საჭიროების შემთხვევაში დამატებითი დოკუმენტაციის მოთხოვნა. დამატებითი დოკუმენტაციის შესწავლის მიზნით, საბჭო უფლებამოსილია გადადოს საკითხის განხილვა ადმინისტრაციული წარმოების დარჩენილი ვადების გათვალისწინებით.

## საბჭოს საქმიანობის პრინციპები

1. საბჭოს წევრი საკუთარი ფუნქციების შესრულებისას უნდა იყოს დამოუკიდებელი, ობიექტური და მიუკერძოებელი;
2. საბჭოს წევრმა უნდა შეინარჩუნოს ნეიტრალურობა ნებისმიერ სიტუაციაში და არ უნდა მოექცეს დაინტერესებული მხარეების გავლენის ქვეშ, მათი სტატუსის მიუხედავად;
3. საბჭოს წევრმა არ უნდა გაასაჯაროს და არ გამოიყენოს პირადი ინტერესისთვის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მოპოვებული ინფორმაცია ან/და დოკუმენტაცია;
4. საბჭოს წევრი ორიენტირებული უნდა იყოს თანამშრომლობაზე და არ უნდა ცდილობდეს პრივილეგირებულ პოზიციაში თავის წარმოდგენას; საჯაროდ ეჭვქვეშ არ უნდა აყენებდეს ექსპერტის, საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლის, საბჭოს წევრისა და სააპელაციო საბჭოს წევრის კომპეტენტურობას, მიუხედავად იმისა, ეთანხმება თუ არა მათ პოზიციას;
5. საბჭოს წევრი ვალდებულია, საკითხის განხილვის დაწყებამდე განაცხადოს დაწესებულებასთან არსებული ინტერესთა კონფლიქტისა და თვითაცხადების შესახებ. ინტერესთა კონფლიქტად მიიჩნევა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 92-ე მუხლით დადგენილი გარემოების არსებობა;
6. ინტერესთა კონფლიქტის არსებობისას, საბჭოს წევრი არ მონაწილეობს საბჭოს სხდომაზე განსახილველი საკითხის განხილვის, გადაწყვეტილების მიღებისა და კენჭისყრის პროცესებში.
7. საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, საბჭოს სხდომაზე წარმოადგინოს დაინტერესებული მხარის - საგანმანათლებლო დაწესებულების პოზიცია.

აღნიშნული პრინციპების გათვალისწინებით ცენტრმა შეიმუშავა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრთა მიერ საბჭოს საქმიანობის წესის, პრინციპებისა და ეთიკის ნორმების დაცვის თაობაზე თანხმობის ფორმა. საბჭოს ყველა წევრი ვალდებულია გაეცნოს აღნიშნულ ნორმებს და ხელმოწერით დაადასტუროს.



## ინტერესთა კონფლიქტი

საბჭოს წევრი ვალდებულია, დღის წესრიგის გაცნობიდან 2 სამუშაო დღის ვადაში განაცხადოს დაწესებულებასთან არსებული ინტერესთა კონფლიქტისა და თვითაცილების შესახებ.

ინტერესთა კონფლიქტად მიიჩნევა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 92-ე მუხლით დადგენილი გარემოების არსებობა, რაც გულისხმობს, რომ საბჭოს წევრმა მონაწილეობა არ უნდა მიიღოს ზეპირ მოსმენაში იმ შემთხვევაში თუ:

- ა) თვითონ არის დაინტერესებული მხარე საქმეში;
- ბ) საქმეში მონაწილე დაინტერესებული მხარის ან მისი წარმომადგენლის ნათესავია;
- გ) საქმეში მონაწილე დაინტერესებული მხარის წარმომადგენელია;
- დ) იყო ექსპერტი მოცემულ საკითხთან დაკავშირებით;
- ე) იყო მედიატორი იმავე საქმეზე ან ამ საქმესთან არსებითად დაკავშირებულ სხვა საქმეზე;
- ვ) შრომით ურთიერთობაშია საქმეში მონაწილე დაინტერესებულ მხარესთან;
- ზ) თვითონ ან მისი ოჯახის წევრი ფლობს აქციებს ან საწესდებო კაპიტალის წილს იმ ინსტიტუციაში, რომელიც წარმოადგენს დაინტერესებულ მხარეს;
- თ) საქმეში მონაწილე დაინტერესებული მხარის ან მისი წარმომადგენლის ოჯახის წევრია.

ამ შემთხვევაში ნათესავად ითვლება:

- პირდაპირი ხაზის ნათესავი;
- მეუღლე, მეუღლის და-ძმა და პირდაპირი ხაზის ნათესავი;
- აღმავალი ხაზის პირდაპირი ნათესავის და-ძმა;
- და-ძმა, მათი მეუღლეები და შვილები.

## საბჭოს დამოუკიდებლობა ESG-2015-ის მოთხოვნები

ESG-2015 მოთხოვნებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია საბჭო იყოს დამოუკიდებელი და მოქმედებდეს ავტონომიურად მესამე მხარის ზეგავლენის გარეშე, იქნება ეს ზეგავლენა ცალკეული ინსტიტუციის მხრიდან, სახელმწიფოდან თუ ბიზნეს-სექტორიდან. მნიშვნელოვანია საბჭოს წევრები ითვალისწინებდნენ, რომ ისინი წარმოადგენენ არა საკუთარ ინსტიტუციებს, არამედ დამოუკიდებელ ორგანოს. საბჭო საქმიანობისა და გადაწყვეტილებების მიღებისას უნდა ითვალისწინებდეს უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფისა და შესაბამისად, ცენტრის მიზნებს, რომელიც პასუხისმგებელია შეფასების საბოლოო შედეგების ობიექტურობასა და ვალიდურობაზე.

## ზეპირი მოსმენის ფორმატი

საბჭოს სხდომას იწვევს საბჭოს თავმჯდომარე ან ცენტრის დირექტორი. წევრები აკრედიტაციის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე.

ზეპირი მოსმენის შესახებ დაინტერესებულ მხარეს ეცნობება ზეპირი მოსმენის გამართვამდე არანაკლებ 7 კალენდარული დღით ადრე. ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე დაინტერესებული მხარე უფლებამოსილია, მონაწილეობა მიიღოს ზეპირ მოსმენაში.

სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საბჭოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი, მაგრამ არანაკლებ 3 წევრისა. საბჭოს მოწვეული წევრების მონაწილეობის შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი, მაგრამ არანაკლებ მოწვეული წევრების 3/4-ისა. ამ პუნქტით გათვალისწინებულ რაოდენობაში არ ჩაითვლება საბჭოს ის წევრი, რომელსაც განსახილველ საკითხთან მიმართებით აქვს თვითაცილება და/ან აცილება.

საბჭოს სხდომა საჯაროა. საბჭოს გადაწყვეტილებით შესაძლებელია ზეპირ მოსმენაში შესაბამისი დარგის სხვა ექსპერტის, პროფესიული ორგანიზაციის წევრის, სფეროს სპეციალისტისა და სხვა პირთა მოწვევა.

ზეპირ მოსმენაზე გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში არ მიიღება აკრედიტაციის მამიებლის ის დოკუმენტი, რომელიც შემუშავდა სააკრედიტაციო ვიზიტის შემდეგ.

საბჭოს სხდომის ოქმი ფორმდება საბჭოს სხდომის ჩატარებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში საბჭოს თავმჯდომარისა და საბჭოს მდივნის ხელმოწერებით. საბჭოს სხდომის ოქმის საფუძველზე გამოიცემა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელსაც ხელს აწერს საბჭოს თავმჯდომარე და საბჭოს მდივანი.

## საბჭოს თავმჯდომარის ფუნქციები

სხდომას უძღვება საბჭოს თავმჯდომარე, მისი არყოფნის შემთხვევაში – მოადგილე, ხოლო საბჭოს თავმჯდომარისა და მოადგილის არყოფნის შემთხვევაში – დამსწრეთა უმრავლესობით განსაზღვრული საბჭოს წევრი. საბჭოს მდივნის მიერ მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, მის ფუნქციებს სხდომის თავმჯდომარის დავალებით ასრულებს საბჭოს ერთ-ერთი წევრი.

სხდომის თავმჯდომარე ვალდებულია უზრუნველყოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევა ზეპირ მოსმენაზე. სხდომის თავმჯდომარე უფლებამოსილია, სხდომა დახურულად გამოაცხადოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

# აკრედიტაციის სტანდარტები

საგანმანათლებლო პროგრამა ფასდება 5 სტანდარტის მიხედვით:

<p><b>1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• 1.1. პროგრამის მიზნები</li> <li>• 1.2. პროგრამის სწავლის შედეგები</li> </ul>
<p><b>2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• 2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები</li> <li>• 2.2. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი</li> <li>• 2.3. სასწავლო კურსი</li> <li>• 2.4. პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/სამეცნიერო და ტრანსფერული უნარების განვითარება</li> <li>• 2.5. სწავლება-სწავლის მეთოდები</li> <li>• 2.6. სტუდენტების შეფასება</li> </ul>
<p><b>3. მოსწავლეების/სტუდენტების მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• 3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება</li> <li>• 3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა</li> </ul>
<p><b>4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• 4.1. ადამიანური რესურსი</li> <li>• 4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება</li> <li>• 4.3. მატერიალური რესურსი</li> <li>• 4.4. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა</li> </ul>
<p><b>5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• 5.1. შიდა ხარისხის შეფასება</li> <li>• 5.2. გარე ხარისხის შეფასება</li> <li>• 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება</li> </ul>

სტანდარტის თითოეული კომპონენტი უკავშირდება მინიმუმ 3 კომპონენტს. შეფასებაში თანამიმდევრულობის დაცვისათვის ერთერთი მიდგომა შესაძლებელია იყოს აკრედიტაციის სტანდარტების დანახვა ESG-2015 დოკუმენტით გათვალისწინებული სტანდარტების პერსპექტივაში. ამისათვის კი ქვემოთ მოცემული ცხრილი დაგეხმარებათ

## ESG 2015 და აკრედიტაციის სტანდარტი

ESG 2015	აკრედიტაციის სტანდარტის კომპონენტები
1.1 ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა	1.1. პროგრამის მიზნები; 1.2. პროგრამის სწავლის შედეგები; 2.2. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
1.2 პროგრამების შემუშავება და დამტკიცება	1.1. პროგრამის მიზნები; 1.2. პროგრამის სწავლის შედეგები; 2.2. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი; 2.4. პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / სამეცნიერო და ტრანსფერული უნარების განვითარება; 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
1.3 სტუდენტზე ორიენტირებული სწავლა სწავლება და შეფასება	2.5. სწავლება-სწავლის მეთოდები; 2.6. სტუდენტების შეფასება
1.4 სტუდენტის მიღება, პროგრესი, აღიარება და სერტიფიცირება	2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები; 5.1 შიდა ხარისხის შეფასება
1.5 მასწავლებლები/ლექტორები	4.1. ადამიანური რესურსი; 4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
1.6 სასწავლო რესურსები და სტუდენტების მხარდაჭერა	3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა; 4.1. ადამიანური რესურსი; 4.3. მატერიალური რესურსი; 4.4. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
1.7 ინფორმაციის მენეჯმენტი	1.2. პროგრამის სწავლის შედეგები; 5.1. შიდა ხარისხის შეფასება; 5.2. გარე ხარისხის შეფასება; 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
1.8 საჯარო ინფორმაცია	1.1. პროგრამის მიზნები; 1.2. პროგრამის სწავლის შედეგები; 2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები; 2.2. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
1.9 მიმდინარე მონიტორინგი და პროგრამების პერიოდული შეფასება	1.1. პროგრამის მიზნები; 1.2. პროგრამის სწავლის შედეგები; 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
1.10 პერიოდული ხარისხის გარე უზრუნველყოფა	5.2. გარე ხარისხის შეფასება; საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტი - 65/წ



## პროგრამის სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის შეფასება

საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა დგინდება 4-შკალიანი შეფასების მიხედვით. სტანდარტის მოთხოვნებთან მიმართებით პროგრამა შეფასება შესაძლებელია იყოს ერთ-ერთი:

- ა) სრულ შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან
- ბ) მეტწილად შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან
- გ) ნაწილობრივ შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან
- დ) არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან

საგანმანათლებლო პროგრამა ფასდება სტანდარტის კომპონენტთან მიმართებით, როგორც „**შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან**“, თუ საგანმანათლებლო პროგრამა სრულად უზრუნველყოფს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დაკმაყოფილებას.

საგანმანათლებლო პროგრამა ფასდება სტანდარტის კომპონენტთან მიმართებით, როგორც „**მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან**“, თუ საგანმანათლებლო პროგრამა მეტწილად უზრუნველყოფს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დაკმაყოფილებას და დაწესებულებას შეუძლია შესაბამისი შედეგების დემონსტრირება. თუმცა, დაწესებულებას აქვს სუსტი მხარეები, რომელთა მოკლევადიან პერიოდში (არაუმეტეს 1 წელი) დასაძლევად მას აქვს მზაობა და შესაბამისი რესურსებით უზრუნველყოფილი გეგმა.

საგანმანათლებლო პროგრამა ფასდება სტანდარტის კომპონენტთან მიმართებით, როგორც „**ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან**“, თუ საგანმანათლებლო პროგრამა საბაზო დონეზე უზრუნველყოფს კომპონენტის მოთხოვნების დაკმაყოფილებას და მას აქვს ისეთი სუსტი მხარეები, რომელთა დასაძლევადაც საჭიროა მნიშვნელოვანი რესურსების მობილიზება. თუმცა, დაწესებულებას აქვს მზაობა და საშუალოვადიან პერიოდში (1 წელზე მეტი, მაგრამ არაუმეტეს 2 წელი) სუსტი მხარეების დასაძლევად შესაბამისი რესურსებით უზრუნველყოფილი გეგმა.

საგანმანათლებლო პროგრამა ფასდება სტანდარტის კომპონენტთან მიმართებით, როგორც „**არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან**“, თუ საგანმანათლებლო პროგრამა ვერ უზრუნველყოფს საბაზო დონეზე სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დაკმაყოფილებას.

## სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის შეფასება

ინსტიტუციის სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა დგინდება 4-შკალიანი შეფასების მიხედვით. სტანდარტის მოთხოვნებთან მიმართებით ინსტიტუციის შეფასება შესაძლებელია იყოს ერთ-ერთი:

- ა) სრულ შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან
- ბ) მეტწილად შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან
- გ) ნაწილობრივ შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან
- დ) არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან


საგანმანათლებლო პროგრამა „**შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან**“, თუ საგანმანათლებლო პროგრამა ამ სტანდარტის არაუმეტეს ერთ კომპონენტთან მიმართებით


შეფასებულია, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, ხოლო დანარჩენ კომპონენტებთან მიმართებით – როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

საგანმანათლებლო პროგრამა „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, თუ საგანმანათლებლო პროგრამა ამ სტანდარტის ერთზე მეტ კომპონენტთან მიმართებით შეფასებულია, როგორც „მეტწილად შესაბამისია სტანდარტის მოთხოვნებთან“ ან საგანმანათლებლო პროგრამა ამ სტანდარტის არაუმეტეს ერთ კომპონენტთან მიმართებით შეფასებულია, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, ხოლო არცერთ სხვა კომპონენტთან მიმართებით არ არის შეფასებული, როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“.

საგანმანათლებლო პროგრამა „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, თუ საგანმანათლებლო პროგრამა ამ სტანდარტის ერთზე მეტ კომპონენტთან მიმართებით შეფასებულია, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, ხოლო არცერთ სხვა კომპონენტთან მიმართებით არ არის შეფასებული, როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“;

საგანმანათლებლო პროგრამა „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“, თუ საგანმანათლებლო პროგრამა ამ სტანდარტის ერთ-ერთ კომპონენტთან მიმართებით მანაც შეფასებულია, როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“.





## გადაწყვეტილებების მიღება

საბჭო გადაწყვეტილებას იღებს სხდომაზე დამსწრე წევრთა არანაკლებ 3/4-ით. ამასთან, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მოწვეული წევრების მონაწილეობის შემთხვევაში, საბჭო გადაწყვეტილებას იღებს სხდომაზე დამსწრე წევრთა არანაკლებ 3/4-ით, საიდანაც მოწვეულ წევრთა ხმები უნდა შეადგენდეს დამსწრე მოწვეულ წევრთა არანაკლებ 3/4-ს. ასევე გასათვალისწინებელია, რომ გადაწყვეტილებას საბჭო იღებს ფარული კენჭისყრის საფუძველზე. ამასთან, საბჭოს სხდომის ოქმით უზრუნველყოფილია კენჭისყრის შედეგების საჯაროობა.

ზეპირ მოსმენაზე გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში არ მიიღება საგანმანათლებლო დაწესებულების ის დოკუმენტი, რომელიც შემუშავდა სააკრედიტაციო ვიზიტის შემდეგ.

საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან. საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება. გადაწყვეტილება მიღებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში ქვეყნდება ცენტრის ვებგვერდზე. გადაწყვეტილების გამოქვეყნებასთან ერთად ცენტრის ვებგვერდზე ქვეყნდება ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა.



## გადაწყვეტილების სახეები

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხთან დაკავშირებით საბჭო იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) აკრედიტაციის შესახებ;

1. აკრედიტაციას ანგარიშის წარმოდგენის პირობით;
2. აკრედიტაცია მონიტორინგის განხორციელების შუამდგომლობით

ბ) პირობითი აკრედიტაციის შესახებ;

გ) აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ;

დ) აკრედიტაციის გაუქმების შესახებ.

- ❑ საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში **აკრედიტაციის შესახებ გადაწყვეტილება** მიიღება, თუ საბჭო მიიჩნევს, რომ პროგრამა ყველა სტანდარტთან მიმართებით შეფასდა, როგორც - „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“;
- ❑ თუ პროგრამა ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ ან „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“, **საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ** და დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში. წარმოდგენილი ანგარიში განიხილება საბჭოს სხდომაზე;
- ❑ თუ პროგრამა ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“, **საბჭო იღებს გადაწყვეტილებას პირობითი აკრედიტაციის შესახებ**;
- ❑ თუ პროგრამა ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“, **საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ**.

მონიტორინგის გზით უსდ-ს მიერ აკრედიტაციის პირობების შესრულების შემოწმების შემთხვევაში საბჭოს იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტა;

ბ) საგანმანათლებლო დაწესებულებას ხარვეზის გამოსასწორებლად არაუმეტეს 60 დღის ვადის განსაზღვრა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ აშკარაა, რომ ამას შედეგი არ მოჰყვება;

გ) აკრედიტაციის გაუქმებ გაუქმება

- ❑ აკრედიტაციის პირობების შესრულების შემოწმების შედეგად, საბჭო უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ან პირობითი აკრედიტაციის გაუქმების შესახებ თუ პროგრამა ერთ სტანდარტთან მიმართებით შეფასდა, როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“;
- ❑ დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია, უსდ-ს ხარვეზის გამოსასწორებლად განუსაზღვროს არაუმეტეს 60 დღის ვადა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ აშკარაა, რომ ამას შედეგი არ მოჰყვება;
- ❑ მიცემულ ვადაში უსდ-ს მიერ შესაბამისი ხარვეზების გამოუსწორებლობის შემთხვევაში საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება აკრედიტაციის ან პირობითი აკრედიტაციის გაუქმების შესახებ.



**ინსტიტუციის მიერ საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვისას საბჭო ცნობად იღებს ანგარიშს ან საჭიროების შემთხვევაში ადგენს მონიტორინგის განხორციელების საჭიროებას.**

საბჭო ანგარიშს ცნობა იღებს თუ ექსპერტის მიერ შესწავლილ დოკუმენტაციაზე შედგენილი დასკვნა დადებითია და საგანმანათლებლო დაწესებულებას გათვალისწინებული აქვს ექსპერტთა ან საბჭოს წევრთა მიერ აკრედიტაციის მინიჭების პროცესში გაცემული რეკომენდაციები.

**საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან შესაბამისობის მიზნით წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვისას აკრედიტაციის საბჭოს შესაძლებელია მიიღოს შემდეგი გადაწყვეტილება:**

- ა) შესაბამისობის დადგენის შემთხვევაში წყვეტს ადმინისტრაციულ წარმოებას და საგანმანათლებლო დაწესებულებას ანიჭებს უფლებას განახორციელოს მოდიფიცირებული პროგრამა აკრედიტაციის ვადის ამოწურვამდე;
- ბ) დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია, საგანმანათლებლო დაწესებულებას ხარვეზის გამოსასწორებლად განუსაზღვროს არაუმეტეს 60 კალენდარული დღის ვადა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ აშკარაა, რომ ამას შედეგი არ მოჰყვება.
- გ) აკრედიტაციის გაუქმების შესახებ

იმ შემთხვევაში, თუ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს შესაბამისობის დადგენის ფარგლებში მიიღო გადაწყვეტილება აკრედიტაციის გაუქმების შესახებ და საგანმანათლებლო დაწესებულებას რჩება უფლება აღნიშნული პროგრამა განახორციელოს ავტორიზებულ რეჟიმში, მაშინ აკრედიტაციის საბჭოს მიმართავს შუამდგომლობით უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მათი კომპეტენციის ფარგლებში აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამის შესწავლის მიზნით

## სასარგებლო ბმულები

<http://erasmusplus.org.ge/publications>

<https://enqa.eu/index.php/home/esg/>

[https://enqa.eu/wp-content/uploads/2015/11/ESG\\_2015.pdf](https://enqa.eu/wp-content/uploads/2015/11/ESG_2015.pdf)

<http://www.ehea.info/page-ministerial-declarations-and-communiques>

## პრაქტიკული ინფორმაცია

### საკონტაქტო პირები

**უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის:**

ლალი ოდიშვილი - [l.odishvili@ege.ge](mailto:l.odishvili@ege.ge);

თამარ აფრასიძე - [t.aphrasidze@ege.ge](mailto:t.aphrasidze@ege.ge);

აბულაძე ქრისტინე - [k.abuladze@ege.ge](mailto:k.abuladze@ege.ge)

სოფიკო ქურასბედიანი - [s.kuraspediani@ege.ge](mailto:s.kuraspediani@ege.ge)

თამთა ანთიძე - [t.antidze@ege.ge](mailto:t.antidze@ege.ge)

თამთა მოხევიშვილი - [t.mokhevishvili@ege.ge](mailto:t.mokhevishvili@ege.ge)

ნინო სარჯველაძე - [n.sarjveladze@ege.ge](mailto:n.sarjveladze@ege.ge)

ქეთევან თელია - [k.telia@ege.ge](mailto:k.telia@ege.ge)

ანა ჯავახიშვილი - [a.javakhishvili@ege.ge](mailto:a.javakhishvili@ege.ge);

სანდრო ტაბატაძე - [sandro.tabatadze@ege.ge](mailto:sandro.tabatadze@ege.ge);

**დანართი:** საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრთა მიერ საბჭოს საქმიანობის წესის, პრინციპებისა და ეთიკის ნორმების დაცვის თაობაზე თანხმობის ფორმა

თანხმობა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრთა მიერ საბჭოს საქმიანობის წესის, პრინციპებისა და ეთიკის ნორმების დაცვის თაობაზე

სახელი, გვარი: \_\_\_\_\_

ვაცნობიერებ რა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს როლსა და ფუნქციებს ქვეყნის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის განვითარებისა და უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემისადმი ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე ნდობის ამაღლების მიმართულებით, ხელმოწერით ვადასტურებ, რომ:

კანონმდებლობით განსაზღვრული ფუნქციების შესრულებისას ვიქნები დამოუკიდებელი, ობიექტური და მიუკერძოებელი.

გადაწყვეტილების მიღებისას ვიხელმძღვანელებ მოქმედი კანონმდებლობით და თითოეულ გადაწყვეტილებას მივიღებ დასაბუთების მაღალი სტანდარტების დაცვით, უმაღლესი განათლების, ხარისხის უზრუნველყოფის მიზნებისა და უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპების (ESG) გათვალისწინებით;

ნებისმიერ სიტუაციაში შევინარჩუნებ ნეიტრალურობას და არ მოვექცევი დაინტერესებული მხარეების გავლენის ქვეშ, მათი სტატუსის მიუხედავად;

ორიენტირებული ვიქნები თანამშრომლობაზე და არ ვეცდები პრივილეგირებულ პოზიციაში თავის წარმოდგენას. საჯაროდ ეჭვქვეშ არ დავაყენებ ექსპერტის და/ან ცენტრის, საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლის და საბჭოს წევრის კომპეტენციას;

არ გავასაჯაროებ და არ გამოვიყენებ პირადი ინტერესებისთვის საბჭოს წევრის ფუნქციების შესრულების დროს მოპოვებულ ინფორმაციას ან/და დოკუმენტაციას;

ზეპირი მოსმენის გამართვამდე, განსახილველ საკითხზე არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების სრულყოფილად შესწავლისა და შეფასების მიზნით, სრულყოფილად და სიღრმისეულად გავცნობით ცენტრიდან გამოგზავნილ დოკუმენტაციას;

ინტერესთა კონფლიქტის არსებობისას, კანონმდებლობით დადგენილი წესით ვაცნობებ ცენტრს აღნიშნულის თაობაზე;

აკრედიტაციის პროცესის, მათ შორის საბჭოს საქმიანობის ანალიზის საფუძველზე, მუდმივად ვიზრუნებ - უმაღლესი განათლების სისტემის, აკრედიტაციის პროცესის, მათ შორის აკრედიტაციის საბჭოს საქმიანობის განვითარებაზე.

ხელმოწერა: \_\_\_\_\_

თარიღი:



განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

[www.eqe.ge](http://www.eqe.ge)

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

[Higher.ed@eqe.ge](mailto:Higher.ed@eqe.ge)